ცნობის ფურცელი

№ 2454 პარასკევი, 2 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გაზეთი № 2454

აზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ., ნომერი—3 კ., დამატე—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნინო ზექთაზეგოვისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები გარდაცვალებულისა **კნეინა ელისაბედ ზაალის ასული და თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთავნი შვილებითურთ,** პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშუადღევს 1 და საღამოს 7 საათზე; გამოსვენება კვირას, 4 აპრილს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან, იზმაილოვის ქუჩა, № 5, წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში, ვერაზე.

(3—122—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკში

პარასკევს, 2 აპრილს, დიდი წარმოდგენა. დღეს ერთ საღამოს სამი ჭიდაობა იქნება: 1, კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავანის **ცერაძისა** და ცნობილ ფალავანის დ. ნაძვრაშვილს შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. მეორე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფინლიანდელ ფალავნის **კრამერსა** და გორელ ფალავნის გილატრიშვილს შორის. მესამე ჭიდაობა ცნობილ ფალავნის **ჯიბზირსა** და დათიკო ჩორელს შორის. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ.

(1—119—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი

ირკუტსკი. ბაიკალის ტბაზე რკინის გზის ელსების ალაგება გაათავეს, მიმოსვლა დაუბრკოლებლივ სწარმოებს.

ნიუჩუანი („რეიტერის სააგ.“). ინგლიის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცველად და ხელ-შეკრულობით აღთქმულ უფლების ადგენად ღონისძიება მიიღეს. ინგლისის ნონო ნავი წავიდა აქედან. ამ გარემოება რუსის მოხელეებს ხელ-ფეხი გაუხსნა და ხედრო წესების შემოღება გაუადვილა. დღეს უკანასკნელი სავაჭრო გემები გავიდნენ ნიუჩუანიდან. მეგემეთა საზოგადოებათ აქაურს აგენტებს შეატყობინეს, ამას იქით ნიუჩუანში გემებს აღარ გამოვგზავნითო. ქალაქის ქუჩებს აღარ ანათებენ. მდინარე ლიაოზე ღამ-ღამეობით ნავით მიმოსვლა აკრძალულია.

ტოკიო („რეიტერის სააგ.“). ჰფიქრობენ, რომ მდინარე იალუზე რუსებსა და იაპონელებს შეტაკება მოსდით, თუმცა ბრძოლის ველიდან არავითარი ცნობა არ მოდის. რველ არმიასთან მყოფ სამხედრო აგენტებს გამოუცხადეს, ჯარში წასასვლელად მოემზადენითო. ჰფიქრობენ, სამხედრო აგენტები ორიოდე დღის შემდეგ წავლენ ბრძოლის ველზედ.

მუკდენი (სპეციალური). აქ უცხოელი სამხედრო აგენტი მოვიდა.

სევასტოპოლი. ჯარში გაწვეულნი ჯარის-კაცები და აფიცრები თან-და-თან მოდიან. მობილიზაცია დინჯად, რიგიანად მიმდინარეობს.

ლაგოვეშჩენსკი. ტელეგრაფის მავთული შეაკეთეს. ხაბაროვსკთან მიმოსვლა და მიწერ-მოწერა აღდგენილია.

სევასტოპოლი. რუდნევს მეზღვაურთა უკანასკნელ რაზმთან ერთად, კვირას, 4 აპრილს, ადესაში მოელიან. ჰფიქრობენ, რუდნევი სამშობლოს სევასტოპოლს მოვაო. რუდნევს ჯავშნიან გემ „სევასტოპოლის“ 50 მეზღვაურიც მოჰყვება. ეს მეზღვაურები სეულში რუსეთის საელჩოს იცავდნენ და ეხლა ისევ თავიანთ ჯავშნიან გემზე მიდიან. სევასტოპოლი ამ მეზღვაურების დასახვედრადა და გასაცილებლადაც ემზადება.

ადესა. კასპეროვის საზოგადოების მიერ დაარსებული სასანიტარო რაზმი ბრძოლის ველზე წავიდა.

მეორე რანგის კაპიტანი დიდი მთავარი **კირილე ვლადიმირის ძე,** მსუბუქად დაჭრილი 31 მარტს.



† ვიცე ადმირალი მაკაროვი.

დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსი, დაღუპული 31 მარტს.

ჯავშნიანი გემი „**პეტროპავლოვსკი**“, რომელიც დაიღუპა 31 მარტს პორტ-არტურთან.

კაპიტანი 1 რანგისა **ნ. იაკოვლევი,** დაღუპულ „პეტროპავლოვსკის“ უფროსი, მძიმედ დაჭრილი 31 მარტს.

ადესა. რუდნევი იტყობინება: საფრანგეთის გემით „კრიმ“-ით ადესას მოდიან 217 მეზღვაური „ვარიაგ“-ისა და 127 მეზღვაური „კორეეც“-ისა, 56 მეზღვაური და 13 ყაზახი სეულში მყოფ მისიის სადარაჯო რაზმისა, 10 დაჭრილი და 10 ავადმყოფი. „კრიმი“ შეივლის სალონიკსა და სტამბოლში, ხოლო ადესას მოვა 5 აპრილს დილას. გმირების დასახვედრად დიდის ამბით ემზადებიან.

პარიზი. როგორც სარწმუნო წყაროებიდანა სჩანს, პოლკოვნიკმა მარშანმა მართლაც გადასწყვიტა სამსახურიდან გასვლა. ტყუილია ის ხმა, ვითომ ეს ამბავი იმით იყოს გამოწვეული, რომ პოლკოვნიკს ნება არ დართეს, მანჯურიაში სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობა მიეღო.

ფელეტონი

აფხაზეთში

სოხუმიდან გაგრამდე

(მგზავრის შენიშვნები)

(დასასრული *)

გაგრა: მისი წარსული, აწმყო და მომავალი.

ამ ჟამად აფხაზეთში და საზოგადოდ შავის ზღვის პირის აღმოსავლეთ ნაწილში ყველას პირზე აკერია გაგრა, ეს ერთი საუკეთესო კუთხეთაგანი აფხაზეთისა, შავის ზღვის პირას მდებარე, სწორუპოვარი ბუნების სიმდიდით და სიმშვენიერით. მთელი აფხაზეთი მშვენიერი იყო, მდიდარი, სააქაო სამოთხის მსგავსი, მაგრამ მისი ღირსება იცოდნენ აფხაზთა, ისინი იცნობდნენ აქაურობას. რაც ხაზნი აქედან აიყარნენ და ეს მხარე უპატრონოდ დარჩა, დიდს ხანს იყო აქაური ბუნებრივი სიმდიდრე დაუფასებელი, უხილავი და გამოუყენებელი. აფხაზეთის ქება სოხუმიდან დაიწყო და როცა სოხუმი ასპარეზზე გამოვიდა, არც ეგონათ, თუ მისი მსგავსი კუთხე მეორეც იყო ამ მხარეში. გაგრამ, რომელმაც, ლამის არის გაუსწროს შავის ზღვის პირას მდებარე ადგილებს, სულ სამი წელიწადია, რაც საზოგადოება აალაპარაკა. მანამდე კი ერთი მივარდნილი და უდაბური კუთხე იყო აფხაზეთისა. მას მიგდებულობისა და უპატრონობის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც იყო, რომ ერთის მხრით ჰშორადა სოჩას, მეორეს მხრით—გუდაუთს. ერთ მიზეზად კიდევ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ რიგიანი ნავთსადგური არა აქვს, რომ გემებს უშიშრად შეეძლოსთ გაჩერება ღელვის დროს. ამ ოთხ-ხუთის წლის წინად ვისთვისმე რომ გეთქვათ: დღევანდელს გაგრაში ევროპული სასტუმრო გადაჭიმება და დღიური მიწა შიგ დაბასა და დაბის გარედ ას თუმნად გაიყიდებაო, სასაცილოდ არ ეყოფოდა თქვენი ნათქვამი.

ერთი დრო ჰქონდა გაგრას, დრო რომაინობისა. მარჯვე მდებარეობის წყალობით საომარ ასპარეზად იყო არჩეული. კავკასიის ქედის თანტოლად მომავალი მთა აფხაზეთისა გაგრასთან შიგ ზღვაში იჭრება და ესრედ ჰქმნის ბუნებრივს საზღვარს აფხაზეთსა და საჩერქეზის შორის, საზღვარს მიუდგომელს და ძნელად გადასალახველს. საკმარისია ამ ალაგას ათი, ოცი კაცი ჩასაფრდეს, რომ მოსეულს, რიცხვ-მრავალს მტერს კუდით ქვა ასროლინოს. ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა რომ ჰქონდა გაგრას, სწორედ იმიტომაც ააშენა რუსის ჯარმა აქ ციხე და შიგ გარნიზონი ეყენა სამოციან წლებში, როცა ომი ჰქონდათ ჩერქეზებთან. ერთხელ ჩერქეზნი შეკრებილან და გადაუწყვეტიათ ღამით უჩინრად დასხმოდნენ თავს რუსის გარნიზონს. გულის ნადებს თურმე მშვენივრადაც აისრულებდნენ და მტერი ცოცხალი ერთიც ვერ გადაურჩებოდათ, მაგრამ შინაურობაში მოღალატე გაუჩნდათ, რომელმაც რუსის ჯარს ჩერქეზთა პლანი ყოველივე შეატყობინა. ასე რომ როცა ჩერქეზნი მოადგნენ ციხეს, რუსები მზად იყვნენ და სრულებით ადვილად უკუაქციეს მტერნი. იმავ ხანებში საშინელი ციებაც მძინვარებდა თურმე აქ. ერთ ზაფხულს მთელის გარნიზონისაგან ორი თუ სამი კაცი გადარჩენილა, დანარჩენი სულ გაუწყვეტია აქაურ ციებ-ცხელებას.

როგორცა ვსთქვით, გაგრამ ამ სამის წლის წინად წამოჰყო თავი, მაგრამ თავი წამოჰყო არა როგორც ციხე-სიმაგრემ, არა როგორც საომარმა ასპარეზმა, არამედ როგორც კლიმატიურმა სადგურმა, თვალის სასეირო და დროს გასატარებელმა ადგილმა, რომელმაც მოცილეობა უნდა გაუწიოს დასავლეთ ევროპის საზამთრო კურორტებს. რუსეთში დიდი ხანია აზრი ტრიალებს შავის ზღვისპირის მშვენიერი ადგილები, თბილის ჰავით შემკულები, გამოიყენონ ისე, როგორც ამას ევროპაში შვრებიან და რუსის ფული, ევროპის კურორტებში რომ იხარჯება, რუსეთის იმპერიაშივე დარჩესო. ამ აზრის განხორციელება თავთ იდო პრინცმა პ. ოლდენბურგელმა, რომელმაც მთელი კომისია შეადგინა და მიანდო შავისზღვის პირად კლიმატიურ სადგურისათვის შესაფერი ადგილი აერჩია. ბევრის კვლევის და ძიების შემდეგ არჩევანი გაგრას ხვდა.

მართლა ამაზე უკეთეს საზამთრო ადგილს ვერც აირჩევდნენ აქეთკენ როგორც ჰავისა, ისე ბუნების სიტურფის მხრივ. ჩრდილოეთით გაგრას ჰფარავს ტყით შემოსილი მთა, რომელიც ბუნებრივ კედლად და დაბრკოლებად უხდება კავკასიის ქედიდან წამოსულს ცივს ქარს. ხოლო დასავლეთიდან ზღვა სითბოს უგზავნის აქაურობას. მხოლოდ საჭირო იყო ფული, საჭირო იყო კაცი მხნე, საქმის ერთგული და მცოდნე, რომ აქაურ ველურ ბუნებას კულტურის შუქი მოჰხვედროდა. ფულიც იყო, კაციც იყო ამ ფულის რაციონალურად მომხმარებელი და ჩვენ მხოლოდ ვნახოთ ამ ორ ფაქტორის ხელში რად იქცა გაგრა, გაგრა სამეფო ტურა-ფოცხვერთა, გაგრა უპატრონო, გაგრა ყველასაგან მივიწყებული.

გაგრის ის ნაწილი, სადაც ახლა სასტუმრო და სხვა შენობებია, ამ სამის წლის წინად წარმოადგენდა ჭაობს და კაცის სიმაღლეზე აყრილ გვიმრით დაფარულ ადგილს. მედგარი ბრძოლა უნდა გამართულიყო ამ მცენარის აღმოსაფხვრელად და ჭაობების ამოსაშრობად. გარდა ამისა, თვით შენობების დასადგამი ადგილი რაკი ცოტა იყო, კლდისათვისაც უნდა წაერთმიათ ერთი ნაწილი. ფულმა და შრომამ ყველაფერსა სძლია. ჭაობები ზოგან ამოაშრეს, ზოგან მათს მაგივრად აუზები გააჩინეს შინაურ ფრინველით სავსე, გვიმნარის ალაგას გაჩნდა მშვენიერი ბაღი ტროპიკულ მცენარეთა და ხეივანი პა-

---

ნ. ფურც“. № 2386.

პეტერბურგი. ნავთ-სადგურის უფროსის კონტრ-ადმირალის გრიგოროვიჩის დეპეშა, პორტ-არტურიდან 31 მარტს 1904 წელს გამოგზავნილი მის უდიდებულესობის სახელზე: №-1 „ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკი“ ნაღმს წააწყდა, აფეთქდა და გადაბრუნდა. ჩვენი ესკადრა ოქროს გორასთანაა. იაპონიის ესკადრა გვიახლოვდება“. №-2 „ადმირალი მაკაროვი, როგორც ეტყობა, დაიღუპა“. №-3 „დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე გადარჩენილ იქმნა. იგი მსუბუქად არის დაჭრილი“. №-4 „უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ „პეტროპავლოვსკი“-დან ჯერ-ჯერობით გადაარჩინეს, დიდ მთავრის გარდა, მძიმედ დაჭრილი პირველი რანგის კაპიტანი იაკოვლევი, ლეიტენანტები იენიში და უნკოვსკი, მიჩმანები შმიდტი, იაკოვლევი და შლიპპე. 32 ჯარის-კაციდან ზოგი მძიმედ, ზოგი მსუბუქად არის დაჭრილი. იპოვნეს გვამები მეორე რანგის კაპიტანის ვასილიევისა, ლეიტენანტ კნორინგ 1-ისა, მიჩმანების ეკიმოვის და ბურაჩკასი, უფროს ექიმის ვოლკოვიჩისა და 12 ჯარის-კაცისა. იაპონიის ფლოტი წავიდა. დაწვრილებით ამბებს გაუწყებთ კონტრ-ადმირალი თავადი უხტომსკი, რომელიც შეუდგა ფლოტის დროებით უფროსობას“.

ნამესტნიკის გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, ხელმწიფე იმპერატორის მიმართ მუკდენიდან 1904 წელს 31 მარტს გამოგზავნილი: №-1 „თანახმად ამ წუთს მიღებულ დეპეშისა გენერალ-ადიუტანტის სტესსელისა, დიდის მწუხარებით ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას, რომ ჩვენმა დიდოკეანეს ფლოტმა დაჰკარგა თავისი გამოცდილი და საყვარელი უფროსი, ადმირალი მაკაროვი, რომელიც საფლაგმანო გემთან ერთად დაიღუპა. როცა მტერი გამოჩნდა, ჩვენი ჯავშნიანი გემები და კრეისერები ფლოტის უფროსის დროშით გავიდნენ და მტრის ესკადრის ერთ ნაწილს დაედევნენ. როცა მტრის ესკადრა 30 გემამდე გადიდდა, ჩვენი ესკადრა უკანვე რეიდზე დაბრუნდა. ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკი“ ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ამ გემზე მყოფი დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე გადარჩა და მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. ჩვენი ესკადრა შინ დაბრუნდა. იაპონიის ესკადრა ლიაოტეშანთან დგას. ამ დეპეშის გამოგზავნამდე ფლოტის უფროსისაგან არავითარი ცნობა არ მოგვსვლია. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას.“

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე 31 მარტს გამოგზავნილი: „გენერალი კაშტალინსკი მაუწყებს, რომ 30 მარტს ჩვენის მოწინავე რაზმისა და იაპონელების შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ მე-12 პოლკის აფიცერი, მამაცი პარუჩიკი დემიდოვიჩი და უნტერ-აფიცერი ლუჩკინი, რომელიც უკვე წარდგენილი იყო ორ ჯილდოს მისაღებად, და ორი ჯარის კაცი; ორიც დაგვიჭრეს. ზემო აღნიშნულს თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ.“

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

1 აპრილი

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანჰაიდან: ჩინეთის არა ლოიალურმა მოქმედებამ გამოიწვია სამართლიანი პროტესტი რუსეთისა. სამხრეთ-აღმოსავლეთის მანჯურიისაკენ ჩინეთმა გაგზავნა სამი დივიზია, ერთი დაბანაკა ლიაოიანიდან 150 კილომეტრის მანძილზე. დივიზიებს უფროსობენ იაპონელი აფიცრები. ამნაირად, თუ ვინიცობაა, რამე მოხდა, ჩინეთის ჯარი რუსეთის მხედრობას უკანიდან დაეცემა. რუსეთმა მოითხოვა, ჩინეთმა წაიყვანოს თავისი ჯარი და დაითხოვოს იაპონელი ინსტრუქტორები.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი

ბარცელონა. ის კაცი, რომელმაც მინისტრ-პრეზიდენტის მაურას მოკვლა განიზრახა, დაქაა, სახელად არტალი. შეპყრობის დროს დაუყვირნია: „გაუმარჯოს ანარქიასა“-ო. ბოროტ-განმზრახველს ხელში სამზარეულო დანა სჭერია. მინისტრი მხოლოდ მსუბუქად გაუკაწრნია.

მადრიდი. არტალი სკულპტორია და რადგან უადგილოდ ყოფილა, ლაქიად დამდგარა. ამბობს, თანამოაზრე არა მყოლიაო. პრესსა და საზოგადოება ერთხმად ჰკიცხავს არტალსა.

ლიმა („რეიტ. საგ.“). შავი ჭირი ნელნელა ვრცელდება. ყოველ დღე 11 კაცამდე ხდება ავად ამ სენით.

კელნი. „კელნიშე ცაიტუნგ.“-ი იტყობინება: ესპანიის მეფეს აზრადა აქვს, სექტემბრის დამდეგს ბერლინში ინახულოს იმპერატორი ვილჰელმი. ბერლინში წასვლამდე მეფე პარიზს წავა.

ლონდონი („რეიტ. საგ.“). გამოაქვეყნეს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ტექსტი.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ფლოტის უფროსი ადმირალი ს. ო. მაკაროვი. გუშინდელმა დეპეშამ გვაცნობა, რუსეთის ფლოტის უფროსი ადმირალი მაკაროვი 31 მარტს პორტ-არტურთან ზღვაში დაიღუპაო. განსვენებული ადმირალი დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად წარსულ 8 თებერვალს დაინიშნა უმაღლესის ბრძანებით. ადმირალი მაკაროვი მეტად მცოდნე, ნიჭიერი და მხნე კაცი იყო. „რუსკია ვედომ.“-იმ ასე დაახასიათა განსვენებული: „ადმირალმა მაკაროვმა მშვენივრად იცის საზღვაო საქმე; ამისთანა კარგი მცოდნე მთელს ევროპაშიაც ცოტაა. მაკაროვი იმ აზრისაა, რომ საზღვაო ბრძოლის დროს ფლოტი თითონაც უნდა მოქმედებდეს, თითონაც იერიშით უნდა მიდიოდეს მტერზე და არა მარტო მტრის მოგერებას სჯერდებოდეს. ამას გარდა მაკაროვი შესანიშნავი ტეხნიკოსია, რუსეთის სამხედრო გემები თვალ-საჩინოდ გააუმჯობესა, რუსეთის არტილერიას ხომ მეტად დიდი ამაგი დასდო და დიდი სარგებლობა მოუტანა. შორეულ-აღმოსავლეთის ზღვაში მაკაროვმა 10 წელიწადი იმსახურა და აღმოსავლეთი აზია კარგად შეისწავლა. ეჭვი არაა, ადმირალი მაკაროვი კარგად ღირსეულად დაუხვდება იაპონელ ადმირალებს. ადმირალს მაკაროვს გამოცდილებაც კარგი აქვს, ცოდნაც, მაგრამ მხნე და გამოცდილ ადმირალს საკმაოდ ძლიერი ფლოტიც უნდა ჰყავდეს, რომ თავისი ცოდნა და გამოცდილება რიგზე გამოიჩინოს“.

ყველას დიდი იმედი ჰქონდა ადმირალ მაკაროვისა; განსვენებულმა, რამდენადაც შეიძლებოდა, გაამართლა კიდევაც ეს იმედი: პორტ-არტურის მეზღვაურები გამხნევდა და ნიჭიერ, შეუპოვარ ადმირალ ტოგოს მედგრად უხვდებოდა. განსვენებულს უცხოელი ადმირალებიც დიდის ქებით და თანაგრძნობით იხსენიებდნენ. ინგლისელ ადმირალ ფრიმენტლს უთქვამს: „ადმირალი მაკაროვი და ადმირალი ტოგო კარგად შეჰხვდებიან ერთმანეთს, ეგაა რუსის ადმირალს ნაკლები ფლოტი ჰყავსო“. განსვენებულს თითონ მტრები—იაპონელი მეზღვაურებიც დიდი ხანია იცნობდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ, როგორც ნიჭიერ სამხედრო მწერალს და ტეხნიკს. იაპონიის მთავრობამ ადმირალ მაკაროვს რამდენისამე წლის წინად ამომავალ მზის ორდენიც უბოძა სასარგებლო ტეხნიკურ გამოგონებისა და ნაღმიან გემების გაუმჯობესებისათვის. („ნ. ვ.“).

რუსის მეზღვაურების დასაფლავება ჩემულპოში. ამას წინად იაპონელებმა ჩემულპოში ზღვის ნაპირას 27 თებერვალს ბრძოლის დროს მოკლულ ორის რუსის მეზღვაურის გვამები იპოვეს და 12 მარტს დიდებულად დაასაფლავეს. ინგლისური გაზ. „შანჰაი მერკურ“-ში ასეა აწერილი ეს დასაფლავება: „იაპონელებმა რუსის მეზღვაურების გვამები ორ-კეც კუბოებში ჩაასვენეს და ორთქლ-მავალ ნავით ჩემულპოში მიასვენეს. ზღვის ნაპირიდან პროცესია ევროპიელების სასაფლაოსაკენ დაიძრა. პროცესიის წინ იაპონელ მეზღვაურების რაზმი მიდიოდა, რაზმს ინგლისელი მისიონერი მისდევდა; შემდეგ ბალდახინით კუბოები მიჰქონდათ. კუბოებს რუსის ფლოტის ბაირაღი ეფარა და უკან იაპონელების ზარბაზანი მისდევდა. კუბოები დიდ-ძალ ყვავილის გვირგვინით იყო შემკობილი. ბალდახინის წინ ორ იაპონელ მეზღვაურს დიდი თაიგულები მიჰქონდათ. ბალდახინს მისდევდნენ იაპონელების გემის უფროსი და იმისი ამალა სამხედრო საპარადო ფორმით, ფრანგი, ამერიკელი, იტალიელ და გერმანელი მეზღვაურები, იაპონიის კონსული და სხვა ხალხი. ნაშუადღევის 1 საათზე პროცესია ევროპიელების სასაფლაოზე მივიდა და გათხრილ სამარესთან ინგლისელმა მისიონერმა პანაშვიდი გადაიხადა; ერთ იაპონელმა მეზღვაურმა აფიცერმა მთელი პანაშვიდი იაპონურ ენაზე გადაუთარგმნა იაპონელ მეზღვაურებს. პანაშვიდის შემდეგ იაპონელი აფიცრები კუბოსთან მივიდნენ და უკანასკნელი სალამი მისცეს: კუბოს წინ იაპონურ წესის თანახმად თავები დაიხარეს. ამის შემდეგ დანარჩენი უცხოელი აფიცრები, იაპონიის კონსული, იაპონელი მეზღვაურები და ყველანი, ვინც პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ, გამოემშვიდობნენ რუსის მეზღვაურებს და ორივ კუბო სამარეში ჩაასვენეს. ამ დროს იაპონელმა მეზღვაურებმა სამხედრო სალმის ნიშნად სამჯერ დაცალეს თოფები. ასეთის პატივით დაასაფლავეს იაპონელებმა რუსის მეზღვაურები“. („რუს. ვედ.“).

სამხედრო მოქმედება. ინგლისური გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი სწერს, რუსის ჯარი მანჯურიაში შემდეგ ადგილებში დგას: სამხრეთ-მანჯურიაში, ზღვის ნაპირზე, მდინარე იალუს შესართავთან დაგუშანამდე რუსებს კავალერიის სადარაჯო რაზმები უყენიათ, მაღლობ ადგილებზე ბატარეები უდგათ. ანდუნსა და კიუკინგს შუა-კი ცოტა არტილერია ჰყავთ. ანდუნში რუსებს 30 ათას კაცზე მეტი ჯარი არა ჰყავთ. ეტყობა, ეს ქალაქი რუსებმა თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციეს, ამიტომ, ეჭვი არაა, რუსები აქ დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ იაპონელებს. რუსის ჯარის უმთავრესი ბაზა-კი ქ. ლიაოიანია. ლიაოიანი ანდუნიდან 240 ვერსტის მანძილზე მდებარეობს. ამ ქალაქში რუსებს სულ 8 ათასი კაცი ჰყავთ; რაც აქ ჯარი მოდის, სულ იალუსაკენა და ნიუჩუანისაკენ იგზავნება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი დიდი ბრძო ანდუნთან მოხდება, თუ, რასაკვირველია, იაპონიის ჯარი სხვა გზით გვერდს არ აუ ლის რუსის ჯარს, ან ნიუჩუანში ახალი ჯარი არ გადმოვა. 5 ათასი რუსის ჯარისკაცი ქალ. ფინხუანჩენში დგას. ფანხუანჩენიდან ქალ. ანდუნამდე 45 ვერსია („ნ. ვ.“).

კორეიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონელებს ჯარი სატრანსპორტო გემებით პირდაპირ იალუს შესართავში მიჰყავთ და იონამპოში გადაჰყავთ. ეგაა ეხლა იალუში წყალმა მეტად იკლო და დიდ გემებს მდინარეში შესვლა უჭირდებათო („ნ.“).

ლმებისა, როგორც ნიცაში. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ ადგილს სულ ორის წლის განმავლობაში ეცვალოს ასე სასწაულებრივ ფერი. მაგრამ ასე კი გახლავსთ. აქაურს ბუნებას, თუ ადამიანმაც ხელი შეუწყო, სასწაული შეუძლია.

პირველი შენობა, რომელიც აქაურობის სულის ჩამდგმელმა პრინცმა ოლდენბურგელმა ააგებინა, სასტუმრო იყო დეკადენტურის სტილისა, სამ სართულიანი, ხისა. ტროპიკული ბაღი სუფთად შენახულის ბილიკების ლამაზ ჩარჩოდ აქვს ამ სასტუმროს. ყოველი ოთახი ელექტრონით განათებული და ორთქლით გათბობილია, ყოველ ორ ოთახს აბანო აქვს მოწყობილი. შიგ სასტუმროშივე ფოსტა-ტელეგრაფი და სამკითხველოა. სამ მანეთად დღეში ჩინებული ოთახი აქვს მსურველს. შესაფერი რესტორანიცა აქვს ამ სასტუმროს. საყურადღებო ისაა, რომ სტუმრები და თვით პრინცი ერთსა და იმავე რესტორანში სადილობენ და ვახშმობენ. „ვახშმობენ“-ის თქმა ჩვენებურად მომივიდა. ჭამა-სმის წესი—ევროპიულად არის შემოღებული: საუზმე შუადღისას და სადილი საღამოს შვიდს საათზე. ფასი არც მაგრე ძვირია: მანეთ და ათ შაურად კარგი ევროპიული სადილი აქვთ სტუმართ. მოსამსახურეებად სულ ქალები არიან, პეტერბურგიდან მოყვანილნი. მთელის სადილის დროს ღამის ათ საათამდე სამხედრო მუსიკა უკრავს. ყვავილები, მეტის-მეტი სისუფთავე როგორც რესტორანისა, ისე მოსამსახურეთა მეტად საამოდ და მადის აღმძვრელად მოქმედებს მოსუფრავეებზე.

ამ სასტუმროს გარდა მოშორებით, საცა ძველი და აწ განახლებული ეკკლესია და ნაციხვარია, მთავრდება ახალი სასტუმრო ქვითკირისა, ისიც დიდი, ისიც ევროპიულ გემოზე აგებული და ამასთან თვისის სიიაფით ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამ შენობებს თავზე დაჰყურებს ჯერ დაუმთავრებელი ქვითკირის სასახლე პრინცისა, არწივის ბუდესავით კლდეზე მიშენებული. ამ სახლებს იქით გამწკრივებულია კაზარმისებური შენობანი ხისა: ერთში მოთავსებულია სასადილო მუშებისა, მეორეში კანცელარია და სხვა და სხვა მოსამსახურენი. ერთს მხარეს თავლაა, სადაც აფრიკის ზებრები საერთო ყურადღებას იპყრობს. ამ თავლაშივე აქირავებენ მოსეირნეთათვის როგორც ამ ზებრებს, ისე სხვა და და სხვა ჯიშის ცხენებს მთაზე სასეირნოდ. ამ შენობათა შუა გამართულია პატარა ფარდულები მეწვრილმანეთა. რა ჯურის ხალხს არა ნახავთ აქ: რუსი, თათარი, ბერძენი, ესტონელი, მეგრელი—ერთმანეთში არეულია. ყველანი სამუშაოდ მოსულან აქ და იქ, საცა ათასობით და ორი ათასობით სჭირიათ მუშა, რა თქმა უნდა, სამუშაოს შოვნა არავის გაუჭირდება.

მეტად კარგი სამყოფელია გაგრაში ზამთრობით. იბილა, ზამთრის სუსხს კაცი არა გრძნობს, მყუდროება იდეალურია. ტყეს სამოსელი თითქმის ქრისტეშობისთვის ნახევრამდე ასხია. მაგრამ ზაფხულობით მეტად ცხელა: მზისაგან დღისით გახურებული კლდე ღამით ჰაერს აგუბებს და ადამიანს სუნთქვას უძნელებს. რომ ზაფხულშიაც მიიზიდოს სტუმარი აქაურობამ, იმ განზრახვით მთაში 36 ვერსის მანძილზე გაყვანილია გზატკეცილი, რომელსაც კაცი საზაფხულო იალაღებზე აჰყავს, სადაც საზაფხულო აგარაკების გამართვასაც აპირობენ.

მეორე ვერსტზე აღმოსავლეთით ზღვის პირად მთავრდება შენობა გაგრის აბანოსი. ეს შენობა აკმაყოფილებს ყოველგვარს მოთხოვნილებას ევროპიულის გემოვნებისას. მშენებელთ ფული არ ეზოგებათ, რომ ყველაფერში და ყველგან კომფორტი იყოს, რომ თუ მუშტარს ფულს გადაახდევინებენ, სამაგიეროდ მომდურავი და გულნატკენი არ გაუშვან ხოლმე. საზოგადო ტენდენცია აქაურობისა ის არის, რომ აქ მოსულს უცბად დაავიწყონ, რომ ის რომელისამე აზიურ მხარის დაბაში იმყოფება. ფულმა ასე იცის. ჯერ-ჯერობით გაგრაზე დახარჯულია ორ მილიონ ნახევარი და განზრახულ შენობათა ნახევარიც არ არის დამთავრებული. გადაწყვეტილია ერთი ამდენი კიდევ დაიხარჯოს, რომ აქაურობამ მართლა არაჩვეულებრივი სახე მიიღოს.

დღემდე რაც გაკეთებულა გაგრაში, ყოველივე საზოგადო სახორციელოა, თუ შეიძლება ასე ითქვას. არ იფიქროთ, რომ დავიწყებული იყოს სულიერი მხარეც. პრინცსა სურს, გაგრა არა მარტო კლიმატიურ სადგურად, არამედ გონებრივ ცენტრადაც აქციოს. გადაწყვეტილია მალე გაიხსნას ორი საშუალო სასწავლებელი: ერთი რეალური გიმნაზია სამეურნეო განყოფილებითურთ ვაჟთათვის და ერთი საქალებო გიმნაზია. განსაკუთრებული თვისება ამ სასწავლებელთა ის იქნება, რომ იმ დროს, როცა ჩვენის ქვეყნის თვით დედა-ქალაქის გიმნაზიებში თითქმის უარყოფილია ქართული ენა, აქ, ჩვენის ქვეყნის განაპირას, იგივე ენა ქართველ მოდგმის მოწაფეთათვის სავალდებულო იქნება. პრინცი იმ აზრისაა, რომ მოწაფეთათვის სამშობლო ენა იმდენად საჭიროა, რამდენად ჩვილ ყრმისათვის დედის ძუძუ და რომ კაცი, ვინც სამშობლო ენა არ იცის და გადაგვარების გზას დასდგომია, ერთგული და მისანდობი არც თავის ერისათვის იქნება და არც სხვისათვისო. აქვე სიამოვნებითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენებმა შეძლებისა და გვარად დახმარება აღმოუჩინეს პრინც ოლდენბურგელის განზრახვას. აქაურმა მემამულეებმა თ-დმა ანჩაბაძემ და ანდრია შენგელაიამ მომავალ სასწავლებელთათვის საჭირო ადგილი შესწირეს. ანჩაბაძემ 6 დღიური და შენგელაიამ 8 დღიური, თითოეული დღიური სულ უკანასკნელი ას თუმნად ღირებული.

—

გაგრა ორია: ქვემო და ზემო. ქვემო, ანუ ევროპიული ნაწილი გაგრისა, მდებარეობს იქ, სადაც სასტუმრო და სასახლე პრინცისა. ზემო გაგრა ქვემოზე ხუთის ვერსით დაშორებულია აღმოსავლეთისაგან და მოადგენს ასის მხარის მანძილზე გზის აქეთ გამწკრივებულს ხის დუქნებს. ვაჭრების უმრავლესობას ქართველები შეადგენენ; მათ შორის შეხვდებით სომხებსა და ბერძნებსაც. ამ დუქნებ შორის ერთი ხის სასტუმროც არის, დუქნების არქიტექტურისა. აქვე აქვსთ ბინა ჩვენებურს მეეტლეებს, რომელთაც ქვემო და ზემო გაგრას შუა ხალხი დაჰყავსთ.

ეროვნული

იაპონიაში ხმა დადის, ვითომ ტოკიოს მთავრობას რუსეთის საიდუმლო დოკუმენტები ჩაევდოს ხელში და ამ დოკუმენტებიდან აშკარად სჩანდეს, რომ რუსეთს ჯერ კიდევ ომამდე კარგა ხნის წინად იაპონიაზე დაცემა ნდომებოდეს და ამ დაცემის პლანიც შედგენილი ჰქონოდეს. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება: ერთმა წარჩინებულმა იაპონელმა მოღვაწემ მიამბო, რუსეთი დიპლომატიურ მოლაპარაკებას განგებ აჭიანურებდა, უნდოდა, დრო მოეგო და მდინარე იალუზე, რაც შეიძლება, მეტი ჯარი მიეყვანა. ამავე დროს რუსეთი კორეიასთანაც საიდუმლო ხელშეკრულების დადებას ცდილობდა. ამ ხელშეკრულობის ძალით, რუსეთს ჩემულპოში ჯარის გადაყვანის უფლება უნდა მისცემოდა. ამ ჯარის დასაცველად რუსეთმა ჩემულპოში „კორეეცი“ და „ვარიაგი“ გაგზავნა. 8 თებერვალს (ახ. სტ.) რუსეთს უცებ მოლაპარაკება უნდა შეეწყვიტა და ვლადივოსტოკის ესკადრას სუნგარის სრუტე დაეჭირა. აი, ეს პლანი, საბედნიეროდ, ჩვენმა მთავრობამ ჩაიგდო ხელში. მინისტრებმა და ყველა სახელმწიფო კაცებმა მაშინვე ერთის ხმით გადასწყვიტეს, რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკება შევწყვიტოთ და სამხედრო მოქმედებას შევუდგეთო („პ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: ამერიკულ გაზ. „ჩიკაგო დაილი ნიუს“-ის კორესპონდენტი თავის საკუთარ გემით მივიდა ნიუჩუანში, მაგრამ რუსებმა ეს გემი დაიჭირეს. ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჰეიმ ბეჯითად მოსთხოვა რუსეთის მთავრობას, კორესპონდენტის გემი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთო („პ. ვ.“).

„დაილი ქრონიკლ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: ამ ჟამად რუსები პორტ-არტურის დასავლეთით დოკებს აშენებენ და დაზიანებულ ფორტებს აკეთებენო. ეგაა მუკდენიდან საკმაო პური არ მოდის და რუსებს ძლიერ უჭირდებათ ჩინელ მუშების კვებაო („პ. ვ.“).

რუსეთი და ჩინეთი. ფრანგული გაზ. „ტან“-ი იუწყება: რუსეთის მთავრობამ მოსთხოვა ჩინეთს: 1. მანჯურია სანეიტრალო ადგილად არ უნდა ითვლებოდეს; 2. მანჯურიის ადგილობრივი მოხელეები რუსეთის მოხელეებს უნდა დაემორჩილნენ; 3. მთელი მანჯურია რუსის მოხელეებს უნდა ემორჩილებოდეს; 4. რაც მანჯურიაში გადასახადი და ბაჟი იკრიბება, რუსებს უნდა გადაეცეს; 5. ჩინეთის ადგილობრივი ჯარი რუსეთს უნდა ემორჩილებოდესო. „ტან“-ი უმატებს, ჩინეთის მთავრობამ უარი შეუთვალა რუსეთს: მაგ მოთხოვნილებას არას დროს არ დავსთანხმდებით („ნ. ვ.“).

ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: ამ გაზაფხულზე ჩინეთიდან ერთი ჩინელი მუშა აღარ გადმოსულა რუსის საბრძანებელშიო. უწინ-კი ჩიფუდან, ტაკუდან და სხვა ადგილებიდან შანჰაი-გუანის რკინის გზით დიდძალი ჩინელი მუშა მოდიოდა ჩვენშიო.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა მოხსენება შეიტანა გამგეობაში კერძო კაცების მიერ **ქალაქის მიწების მითვისების** შესახებ. სხვათა შორის, ქალაქი ედავებოდა ქ-ნ სტეფანოვისას, რომელსაც ბარბარეს ქუჩაზე ვითომდა 101 ოთხ-კ. საჟენი მიწა მიუთვისებია. ეს საქმე მიენდო ქალაქის იურისკონსულტს, რომელმაც გამგეობას განუცხადა, მიწა ქალაქს არ ეკუთვნისო. შემდეგ ამისა თვით კოკჩაევმა ტეხნიკოსთა თანადასწრებით დაათვალიერა ეს მიწა და ამავე აზრს დაადგა. სწორედ ამ დათვალიერების დროს კოკჩაევი წააწყდა მოულოდნელად ადგილს, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და სხვებს სახლები აუგიათ. ეხლა კოკჩაევი სწერს მოხსენებაში: დაბარებულ იქმნენ წმ. ბარბარეს (ნავთლუხი) ქუჩის სახლის პატრონნი და პირობა ჩამოერთოთ, რომ მიწა იმათ არ ეკუთვნით თუ უარს განაცხადებენ, შეგროვდეს საჭირო ცნობები და საჩივარი აღიძრას მიწების უკანონოდ მითვისების შესახებაო.

◆ **ტფილისის ქალაქის მოურავი** თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი გუშინ, 1 აპრილს სამსახურის აღსრულებას შეუდგა ავადმყოფობის შემდეგ.

◆ **საქართველოს ექსარხოსი** აპრილის დამლევს კახეთსა და ზაქათალაში აპირობს გამგზავრებას ადგილობრივ ეკკლესიების დასათვალიერებლად.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის განკარგულების ძალით, **ახალ-ციხეში** მართლ-მადიდებელ ეკკლესიის ასაგებად მთავრობა ომის გამო ვერც ფულს გაიღებს და ვერც ნებას მისცემს ამ საგანზე ხელის მოწერა გაიმართოსო.

◆ სიღნაღის მაზრაში კავაჩხალის ტყეში **ავაზაკთა ბრბო** გაჩენილა. როგორც სამაზრო პოლიციას გაუგია, ამ ბრბოში არიან თურმე მაჰმედ-ბურჩი-ალი-ასან-ოღლი, ულუხან-ხალილ-შაბან-ოღლი და ორი ციმბირიდან გამოქცეული — ერთი გუნიბის ოლქის მცხოვრები ალა-ალი და მეორე სოფ. მუხახის მცხოვრები დოსტი.

◆ პეტერბურგის საგზაო ინჟენერთა ინსტიტუტთან არსებულ კომისიას გამოუკვლევია ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ წარდგენილი ნიმუში ქვისა (პორფირი) ქუჩის მოსაკირწლავად. კომისიას მოუწონებია ეს ქვა, როგორც ყინვა-სიცხის ამტანი. ამ გამოკვლევისათვის ქალაქის გამგეობას სასყიდლად 150 მანეთი გაუგზავნია, ხოლო კომისიას 38 მანეთზე მეტი არ აუღია.

◆ სოფ. ჰაგანში (ქუთაისის მაზრა) ახლად დაარსებულ **სამეურნეო ამხანაგობის** თავმჯდომარე სთხოვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გაუგზავნოს თავისი გამოცემანი და თვით სამეურნეო ორგანო უსასყიდლოდ. თავის მხრივ ჰაგანის ამხანაგობა ჰპირდება, მიაწოდოს დროგამოშვებით ყველა ახალი სამეურნეო ცნობა და შრომა, რომელიც იმის რაიონში შეგროვდება.

◆ ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარმა გამგეობამ **კონცესია განჯაში ტელეფონის გასაყვანად** მისცა ვინმე ფედოროვს. კონცესიის პირობები უნდა შეიმუშაოს ტფილისში ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ.

◆ ერთმა ფრანგულმა ფირმამ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის მოურავს, ქალაქს **გაზით გავანათებთო.**

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა კავკასიაში გაუგზავნა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 50 ცალი ქართულ წიგნაკისა აგრონომ ტიმოფეევის მიერ შედგენილი სიმინდის მარცვლის ჩრჩილთან ბრძოლის შესახებ და სთხოვა ეს წიგნაკები გაჰგზავნოს ქუთაისის გუბერნიაში, სადაც ამ ჟამად უფრო გავრცელებულია ეს სენი.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიის (ტფილისში) სამზრუნველოს ამ ეკკლესიის კრებულისა და სკოლის შენობების აგებისათვის საჭირო წყაროების გამოსაძებნელად გალავანში, როგორც გეგმაზეა აღნიშნული, 24 დასასაფლავებელი ადგილი ჰყიდოს თითო 500 მანეთად. ნებართვა დასაფლავებაზე ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ სასულიერო და საერო მთავრობისაგან უნდა აიღონ ხოლმეო.

◆ მეშვიდე საპოლიციო უბნის ბოქაულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს, ქალაქის ტეხნიკოსი გამოგზავნეთ ჩემ უბანში დაძველებულ შენობათა შესამოწმებლადაო.

◆ ბორჩალოს მაზრის პოლიციამ თრიალეთის საბოქაულოში შეიპყრო ორი საეჭვო კაცი, რომელთაც თავიანთი თავი დაასახელეს სოფ. ჩარდარლუს (განჯის მაზრა) მცხოვრებად სკანდარ შამგაზოვად და მიკირტიჩ არაქელოვად. ზედ ამოაჩნდათ 317 მანეთი. ამ ფულიდან ერთი 5 მანეთიანი ყალბი გამოდგა.

◆ გომი. 31 მარტს, საღამოს 6 საათზე, როდესაც სახალხო მატარებელი № 6 სადგურიდან გადიოდა, მგზავრი ჩიქოვანი ორ უკანასკნელ ვაგონ შუა ჩავარდა. მეისრეებმა გელაშვილმა და ამბაქაძემ დროზე გადაარჩინეს. დაშავებული ხაშურის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ ბაკურიანი. 30 მარტს, 24 საათზე, ბაკურიანის სადგურის უფროსს, ბაქანზე ყოფნის დროს, დაეცა რამდენიმე კაცი და სცემა. მიზეზი ამ თავდასხმისა ვერ გაიგეს.

თეატრი

რუსული დრამა. ოთხშაბათს, 31 მარტს ქართულ თეატრში ორლენიევის დასმა წარმოადგინა ჰენრიხ იბსენის ერთი საუკეთესო პიესა „მოჩვენებანი“.

დასავლეთ ნორვეგიაში ცხოვრობს ქვრივი ქ-ნი ალვინგი, რომელმაც თავის ქმრის სახელზე თავშესაფარი ააშენა. თავშესაფარი მეორე დღეს უნდა აკურთხონ. იმავე დროს ქ-ნ ალვინგის სახლში მოდის დურგალი ექსტრანდი და თავის ქალს, რეგინას, ქ. ალვინგის მოახლეს ეუბნება: ქალაქში მეზღვაურებისათვის განსვენებულ პ. ალვინგის სახელზე სასტუმრო (ნამდვილად საროსკიპო) უნდა გავხსნა და შენც წამოდიო. წინა დღეებში სახლში დაბრუნდა ქ. ალვინგის ერთად-ერთი შვილი, მხატვარი ოსვალდი, რომელიც რამდენისამე წლის განმავლობაში საზღვარ-გარედ ცხოვრობდა. ქ. ალვინგი და იმის ახლო მეგობარი პასტორი მანდერსი ჯერ იმის შესახებ ლაპარაკობენ, დააზღვიონ თავშესაფარი, თუ არა. პასტორი მანდერსი ამბობს, დაზღვევა საჭირო არ არის, რადგან თავშესაფარი კეთილი დაწესებულებაა და იმის დაწვას ღმერთი არ ინებებსო. თავშესაფარს არ აზღვევენ. შემდეგ იგონებენ ქ. ალვინგისა და იმის ქმრის წარსულს. კამერგერი ალვინგი საშინლად გარყვნილი და სასტიკი კაცი იყო; იმასთან ცხოვრების დროს ქ. ალვინგმა დაუსრულებელი და უზომო ტანჯვა-წვალება გამოიარა. კამერგერს თავის სახლში მოჰყავდა გარყვნილი ქალები, ლოთობდა და არაფერს არ აკეთებდა. ქალ. ალვინგმა ველარ გაუძლო ამგვარ ცხოვრებას და პასტორ მანდერსთან გაიქცა, მაგრამ მოვალეობის პრინციპებით გაჟღენთილმა პასტორმა, თუმცა უყვარდა ქ-ნი ალვინგი, უკანვე დააბრუნა და ამგვარად სიცოცხლე კანონიერ ქმართან გაატარებინა. ამ საქციელს პასტორი გონივრულს ქცევას ეძახის, ქ. ალვინგი-კი—ბოროტ-მოქმედებას. ქ. ალვინგი პასტორს, სხვათა შორის, ეუბნება, რომ ჩემი მოახლე რეგინა ჩემი ქმრის შვილია და არა ექსტრანგისაო, თუმცა-კი დედა სხვა ჰყავს, ასე რომ რეგინა და ოსვალდი თითქმის და-ძმები არიან. ქ. ალვინგი დაწვრილებით იგონებს თავის ქმართან უფერულს, ძნელსა და ტანჯვა-წვალებით სავსე ცხოვრებას, და ამბობს, ჩემი ქმრის ცხოვრების შედეგი ყოველგან სჩანს, მოჩვენებასავით დასცურავს და ყოველივე აქაურობა მოჩვენებებით არის სავსეო. ამ დროს მეორე ოთახი-

რამდენად კოპწია და სუფთაა ქვემო გაგრა, იმდენად ბინძური და ალუფხულია ზემო გაგრა. ერთი საინტერესო რამ მიამბეს აქაურმა ვაჭრებმა. ყველას სადუქნე ადგილი იჯარით აქვს აღებული აქაურ მემამულისაგან, ვინმე ნახიმოვისაგან. ყოველი მედუქნე წელიწადში ათ თუმანს იხდის, ე. ი. იმდენს, რამდენადაც ამ ხუთის წლის წინად 20 დღიურის მიწის ყიდვა შეიძლებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ მამულის პატრონს ბ-ნს ნახიმოვს, ეს ათი თუმანი ეცოტავება და უნდა აუწიოს საიჯარო გადასახადს. იქვე მახლობლად ერთს ჩვენებურს აქვს მამული და მოლაპარაკება აქვს გამართული ვაჭრებთან, ჩემს მამულზე გადმოდით, უფრო ხელსაყრელ პირობებით დაგაყენებთო. გვგონია, საცაა თავს მიანებებენ ახლადნელს მემამულეს და კარგსაც იზამენ. ხსენებულს ნახიმოვს ამ ორის წლის წინად აქ შეუძენია 2,000 დღის მიწა, დღიური ათ თუმნად. ახლა-კი ოთხ-კუთხ მხარს თუმნიდან ორ-თუმნამდე აფასებს, ანუ დღიურს 12-14 ათას მანეთად, ე. ი. ოთხ დღიურში უნდა აიღოს ის, რაც მთელ ორას დღიურში მისცია. თუ-კი აძლევენ, რატომაც არ უნდა მოითხოვოს! წარმოუდგენელია, რა ფასები დაედო აქაურ მამულებს ამ ორის-სამის წლის განმავლობაში. თვით პრინცმა ოლდენბურგელმა კერძო მემამულეებისაგან იყიდა 800 დღიური მიწა, დღიური ზოგი 250 და ზოგიც 500 მანეთად! და ასეთ ფასში გაიყიდა ის მიწა, რომლის დღიური ოთხის წლის წინად თუმნადაც არ იყიდებოდა. სანუგეშოდ, ამ ადგილებში ჩვენებურებს ჯერ კიდევ შერჩათ მამულები. მაგ. თავად შარვაშიძეს 800 დღიური აქვს, კამაკიას 150 დღ., შენგელაიას 40 დღ. და სხ. ბევრმა კი მოასწრო მამულის გაყიდვა და ათასობით აიღო. აიღო... და მეტი არაფერი. „უსასყიდლოდ მიგიღიათ, უსასყიდლოდ მისცემდითო“... უშრომლად აღებული ფული უშრომლად და უფენდოდ დაიხარჯა, ისე რომ არც ხორცს ერგო რამე და არც სულს. მოგეხსენებათ, ფულსაც მომვლელი უნდა, ხარჯვასაც ცოდნა და შნო სჭირია, ულეველი არაფერია. ზღვა რა არის, ზღვაც-კი დაილევა კოვზითაო, უთქვამსთ.

—

გაგრა, ეს ამერიკულად, ერთბაშად, არაფრისაგან შექმნილი კურორტი, და თუ გნებავსთ ქალაქი, მეტად და მეტად საინტერესოა, ყურადღების ღირსია. მაგრამ არა ნაკლების ყურადღების ღირსია თვით მამული პრინცის ოლდენბურგელისა, აწინდელ გაგრიდან აღმოსავლეთით მე-8 კილომეტრზე მდებარე. 2,800 დღიური მიწაა ერთად შემოღობილი. ეს ამოდენა ადგილი მთლიან ბაღად უნდა იქცეს მოკლე ხნის განმავლობაში. მემამულეს გადაწყვეტილი აქვს: მთელი სინოყიერე აქაურის დასვენებულის ნიადაგისა, მთელი სითბო აქაურის ჰავისა დაიხმაროს და თვისის ენერგიისა, ცოდნისა და ფულის წყალობით შეჰქმნას საკვირველება მებაღეობისა და საზოგადოდ მეურნეობისა. პრინცი ხარჯს არ ერიდება, რაკი ეს ფული გონივრულად იქმნება დახარჯული, რადგან კარგად იცის, რომ საქმისათვის დახარჯული ფული ერთი-ათად და ერთი-ოცად დაბრუნდება. წარმოიდგინეთ, ამ იმდენის განსახორციელებლად იკმარა ერთმა წელიწადმაც-კი, იკმარა პირველმა მოსავალმა. ჯერ ვერაფერს ვიტყვით ისეთ მცენარეთა შესახებ, რომელნიც ოთხისა და ხუთის წლის შემდეგ იძლევიან ნაყოფს. ასეთებია: ფორთოხალი, ლიმონი, ვენახი. კარგა მოზრდილ ადგილი უჭირავსთ ამ მცენარეთ და ჩინებულადაც უხარიათ. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს შემოსავლიან მცენარეთა თესვას. საცდელად დათესილი არახისი (მიწის თხილი) დღიურზე 50 ქილა მოვიდა და ყოველი ქილა გაიყიდა სამ და ათ შაურად. დღიურის დამუშავება დამჯდარა 23 მანეთი. დაითესა აპრილში და შემოდგომაზე ნიადაგი უკვე თავისუფალი იყო. დღიური მიწა არახისით დათესილი ყოველ ხარჯს გარეშე წმინდა შემოსავალს ხუთმეტ თუმანს იძლევა. პირველ წელსვე დაუთესიათ თუთხმეტ დღიურზე თუთუნი. მოსულა 500 ფუთი საუკეთესო ღირსების თუთუნი. თითო ფუთში ადგილობრივ 14 მანეთი უძლევიათ. დღიური წმინდა შემოსავალს იძლევა თუთხმეტ თუმანს. **ჯუტი** (საკანაფე მცენარე) დღიურზე დაახლოვებით 40 ფუთი მოდის (დამუშავება სიმინდის მსგავსად უნდა). წმინდა შემოსავალს დღიური შვიდ თუმან-ნახევარს იძლევა. გაგრის სამეურნეო გამოფენაზე პრინც ოლდენბურგელის მამულის ნაწარმოებისათვის ცალკე ფარდული იყო გამართული და, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, მეტად საამო საყურებელი იყო ყოველივე, განსაკუთრებით, როცა მოვიგონებდით, რომ ყოველივე ნაყოფი იყო ერთის წლის შრომისა.

როცა პრინც ოლდენბურგელის მამულის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის ფაქტიცა, რომ ამ მამულისათვის ზრუნვა და მისი წარმატება მინდობილი აქვს ჩვენს თანამემამულეს ბ-ნს აკაკი ხოშტარიას, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულს მეურნეს, რომელსაც საერთო ნდობა და ყურადღება აქვს დამსახურებული მამულის პატრონისა. ყოველივე აქაურობა თქვენის თვალითა უნდა ჰნახოთ, რომ სთქვათ—არც თუ უსაფუძვლოთ დაუმსახურებია ეს ნდობა და პატივი ამ კაცსა. აქეთკენ იშვიათია, რომ ჩვენებურს კაცს აქ მოსულ მემამულეთაგან რამე საქმე მიენდოს. და მით უფრო სასიამოვნოა, რომ ასეთს მსხვილს საქმეს ჩვენებური უძღვება და უძღვება სასახელოდაც. ამ დიდ სამუშაოში თავიანთი წვლილი შეაქვსთ ჩვენის ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლის ნაშეგირდალებსაც, რომელნიც მხარში უდგანან ბ-ნს ხოშტარიას.

უნდა გამოვტყდეთ, ცოტა არ იყოს, დაღონებული დავშორდით გაგრას, რომელიც ჭიანჭველათა ბუდეს გვაგონებდა, გაგრას გაცხოველებულს, გაგრას, რომელმაც ევროპიული ფერი უნდა დასდოს ჩემის სამშობლოს ერთს კუთხეს; განსაკუთრებით მაშინ იმატა ნაღველმა, როცა, გაგრას დაშორებით, თვალ-წინ წარმოგვიდგა მთელი კონტრასტი გამოღვიძებულ გაგრისა და აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს შორის ამართული, კონტრასტი სიბეჩავის, უმეცრების, უპატრონობისა და უმწეობის აღმნიშვნელი...

თ. ხ.

დან რეგინასი და ოსვალდის არშიყობის ხმა ისმის. ეს ქ. ალვინგზე დიდს შთაბეჭდილებას ახდენს. ქ. ალვინგს უნდა თავის შვილს ყოველივე აუხსნას და უთხრას, რომ რეგინა და ის ახლო ნათესავები არიან, მაგრამ პასტორი არ ეთანხმება. იმავ ღამეს თავშესაფარი დაიწვება. ოსვალდი ავადმყოფი კაცია. ექიმმა უთხრა, თქვენი ავადმყოფობა შთამომავლობითი სენია და თქვენ ადრე თუ გვიან ბოლო მოგეღებათო. ოსვალდი, რასაკვირველია, საშინლად შეწუხებულია, სიცოცხლე სწყურია, მუშაობა უნდა, მაგრამ არ შეუძლიან და იცის, რომ არც თუ როდისმე შეეძლება. განუწყვეტლივ წვიმებისა და ავდრების გამო შინ დარჩენა ეძნელება, რეგინა უყვარს და იმის საზღვარ-გარედ წაყვანა უნდა. ყველა ამით დატანჯული დედა ველარ ითმენს და ორივეს, ოსვალდსა და რეგინას ყოველივეს ეუბნება. რეგინა გაჯავრებულია, რომ შესაფერი აღზრდა არ მისცეს და თავის მამასთან, ე. ი. საროსკიპოში წასვლას აპირობს. ოსვალდი სთხოვს, დარჩი, რადგან ჩემის ავადმყოფობის დროს ჩემი შველა და გამხნევება მხოლოდ შენ შეგიძლიანო. რეგინა უპასუხებს, ავადმყოფების მოვლა არ მინდაო და მიდის. ოსვალდი თავის დედას ყოველივეს უხსნის და ეუბნება, დღეს თუ ხვალ ბოლო მომეღება, ტვინი გამითხელდება და როცა ეს მოხდება, მიშველე და საწამლავი მომეციო. დედა, რასაკვირველია, არ ეთანხმება, მაგრამ მაშინვე ოსვალდის თხოვნის დროც დგება, ოსვალდს ტვინი უთხელდება და ქ. ალვინგი ყოყმანობს და არ იცის როგორ მოიქცეს, მისცეს საწამლავი, თუ არა.

ასე საშინლად და სასტიკად თავდება ეს შესანიშნავი პიესა. ამ პიესაში ავტორი, ჰ. იბსენი კითხვას იძლევა; ოსვალდი თავის გარყვნილ მამის მეოხებით ასე უბედურად ათავებს სიცოცხლეს, მაგრამ რათ, რისთვის? სად არის რაიმე გასამართლებელი, რაიმე ბუნებრივი კანონი? რით არის დამნაშავე ოსვალდი? რასაკვირველია, არაფრით, მაგრამ განა ცოტაა ჩვენ შორის ოსვალდისთანა უდანაშაულო შვილი და იმის მამისთანა მობელი? ბევრია, ძალიან ბევრია და ეს მით უფრო საშინელია, რომ შთამომავლობითი სენით უმეტეს შემთხვევაში, თითქმის ყოველი ჩვენგანია ავად. ამ პიესას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ეს პიესა დრამაში მთელს რევოლიუციას ახდენს. თუ ძველ საბერძნეთში სოფოკლისა, ესხილისა და ევრიპიდის გმირები მათთვის უჩინარის ბედის, ფატუმის (Moira) მსხვერპლნი იყვნენ, თუ შექსპირის გმირები თავიანთ ვნებათ ღელვითა და სურვილით მარცხდებოდნენ, ეხლა, ამბობს იბსენი, ამათზე უფრო რეალური, სასტიკი, საშინელი და უსამართლო მიზეზი გვიღებს ბოლოს. ეს არის შთამამავლობითი სენი, რომელიც იმდენადვე სასტიკი და საშინელია, რამდენადაც უსამართლო და უსაფუძვლო. თუ რამდენად დიდსა და ძლიერს შთაბეჭდილებას ახდენს ეს პიესა, იქიდან სჩანს, რომ დამსწრე საზოგადოების უმეტესი ნაწილი წარმოდგენის გათავების შემდეგ ჩიოდა, თავები გვტკივაო. საუცხოვოდ თამაშობდა ოსვალდის როლს ბ. ორლენიევი, აგრეთვე კარგად შეასრულა ქალ. ალვინგის როლი ქალ. გორევამ. დანარჩენებიც კარგები იყვნენ. „მოჩვენებანი" ქართულად უკვე გადათარგმნილია და კარგი იქნება მომავალ სეზონში ქართულმა დასმა დადგას.

მ. ა.

რუსეთის ქრონიკა

◆ დაიწყო სხდომები კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს გამოსძებნოს საშუალებანი იმ გაჭირვებულ მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რომელშიაც რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა იმყოფება ომის გამო. („რუს. ვედ.").

◆ სამარაში ერთს ადგილობრივ დაწესებულებაში მოსამსახურეთათვის სასტიკად აუკრძალავთ ბიბლიოთეკებში სიარული და საზღვარ-გარეთის ჟურნალ-გაზეთების კითხვა. მოსამსახურეთათვის განუცხადებიათ: „თუ სამსახურიდან არ გნებავთ გაძევება, თქვენი საქმე შეასრულეთ—კანცელარიაში ერთგულად იმუშავეთ და თქვენს უფროსებს ხმის ამოუღებლად დაემორჩილეთო" („სამარ. გაზ.").

◆ „ფინლ. გაზ."-ში დაბეჭდილია: „ფინლიანდიის ბეჭდვის საქმეთა მთავარი გამგეობის განკარგულებით, მეორე გაფრთხილება გამოეცხადა ფინურ გაზეთს „კოტკან ვუტისეტ"-ს, რომელსაც თავის მე-11 ნომერში მეოთხე გვერდზე უბრალო განცხადებების შუა დაუბეჭდნია ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის სახელზე ამ წლის 7 თებერვალსა და გასულის წლის 18 დეკემბერს გამოცემული უმაღლესი რესკრიპტი.

◆ კიევის ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილია კიევის გენერალ-გუბერნატორის მიერ 17 მარტის თარიღით გამოცემული გაძლიერებული წესები კიევისა და კიევის გუბერნიის ქალაქებისათვის.

◆ ციმბირის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსს გამოუცია სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც სასტიკად აკრძალული აქვთ ციმბირის რკინის გზის მუშებსა და მოსამსახურეთ სამუშაოს თავის ნებით მიტოვება, აგრეთვე სამუშაოზე გამოუცხადებლობა და გულ-აცრუებით მუშაობა. („ნოვ.").

◆ ადესის სასამართლოს განუხილავს საქმე სოფელ იგნატიევკის (ადესის მაზრაშია) 42 გლეხისა, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი შტუნდიზმის მიმდევრობისათვის. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, ზემო დასახელებული გლეხები შეკრებილი ყოფილან ერთს სახლში და შტუნდიზმის წესზე ღვთის მსახურებას ასრულებდნენ. ამ დროს თავს დასცემიან პოლიციელნი და ყველანი შეუპყრიათ. თუმცა გლეხებს თავი დამნაშავედ არ უცვნიათ, მაგრამ მღვდელს განუცხადებია, რომ ესენი შტუნდიზმის მიმდევრები არიანო და ადესის სამაზრო საერობო უფროსს ყველანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია თითოეულისათვის 25 მანეთით დაჯარიმება, ან ორის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება. ადესის სასამართლოსაც საერობო უფროსის გადაწყვეტილება დაუმტკიცებია. („რუს. ვ.").

წერილი კავკავიდან

ქურდობა-ავაზაკობა.—„ღალატის" წარმოდგენა

მარტმა ისე ჩაიარა, რომ კავკაველთ და იმის მიდამო რუსის სტანიცების მცხოვრებთ ნათელი მზე აღარ გვინახავს. თოვლ-ჭყაპია, ქუჩებში ისეთი ლაფი სდგას, რომ მოქალაქეთ ფეხით სიარული უჭირდებათ ბაზარში სანოვაგისთვის. სოფლელთ ავდრის გამო სანოვაგის შემოტანა ბაზარში ძალიან უჭირთ. ამ მიზეზით სანოვაგის ფასმა ერთი ორად იმატა. დაქვეითდა აღებმიცემობაც. მუშა ხალხს სამუშაო მოაკლდა, სამაგიეროდ გახშირდა ძარცვა-გლეჯა და ავაზაკობა. შემოვიდა მოდაში ეკკლესიების ძარცვა და სავაჭრო მაღაზიების განადგურება. ფართლითა და ოქროულობით მოვაჭრეს ფირალოვს სამჯერ გაუქურდეს მაღაზია, წაიღეს რამდენისამე ასი მანეთის ღირებული საქონელი. ქურდები ჯერაც არ აღმოუჩენიათ. ცხენების და სხვა საქონლის მოპარვას ვინ მოსთვლის. ბევრის მითქმა-მოთქმის შემდეგ ძლივს შეთანხმდნენ ადგილობრივ ქართულ სცენის მოყვარენი უფრო კი, რასაკვირველია, მეთაურნი. გადასწყვიტეს „ღალატის" დადგმა. ეს პიესა უნდა წარმოადგინონ ამ აღდგომის კვირაში სკოლის სასარგებლოდ. ზეინაბის როლის შემსრულებელი აქ ვერ იშოვეს, ამიტომ დეპეშით სთხოვეს ქალ. ანდრონიკაშვილს, რომელმაც სურვილი გამოაცხადა და აღუთქვა თავის დროზედ მოსვლა. „ღალატი" აქ რვაჯერ წარმოუდგენიათ რუსს მსახიობთ და ყოველთვის დიდი საზოგადოება ესწრებოდა.

ტეტია

დაბა-სოფლები

სოფ. ზემოხვედურეთი (ქართლი). კურთხეულია ჩვენი სოფელი. რა არ არის ამ დალოცვილში: მშვენიერი ბუნება, ჰავა და რა გინდა კიდევ, რითიც არ იყოს შემკული ზემოხვედურეთი. მცხოვრებთა რიცხვი ორას კომლამდეა. თავადებიცა გვყავს, გლეხებიც, მღვდელიც, ბერიც, მამასახლისიც, სკოლაცა გვაქვს, მაგრამ პატრონი მაინც არა ჰყავს კურთხეულ სოფელს. იქნებ გულიც შესტკივა ვისმეს სოფლის უკუღმართობაზე, მაგრამ გარუმებულია, ერიდება გამხილებას, რადგან იცის კარგად, რომ გამხილებისთანავე დაჰკარგავს საცხოვრებელს; გადაუწვავენ საბძელს, სახლს, ყანას და დასტოვებენ ცარიელზე. გათამამებული რაინდები მოურიდებლად, თავისუფლად დათარეშობენ და აღარავისი არც რცხვენიათ და არც ეშინიანთ. იშვიათი თვე გაივლის ისე, რომ სოფელში არ დაიკარგოს რამ წვრილმანი, მაგრამ ოჯახისთვის საგრძნობელი. იპარავენ ცხვარს, ბატკანს, ღორს, ქათამს, ინდოურს, დასხდებიან სადმე მიყრუებულ ადგილას და ნაქურდალს შეექცევიან. ამგვარი საქციელი ზნეობის დაცემის, უსაქმობის და ღორმუცელობის ბრალია. და ხომ მოგეხსენებათ: „მუცელი თუ ალორე—ღორია, თუ აქორე, ქორიაო". ნაქურდალზე თუ მოასწრო პატრონმა, ქურდს მაშინვე ქომაგი გამოუჩნდება, არიგებს შინაურულად და ამითი აქეზებს შემდეგშიაც ბოროტების ჩადენას. „ძმა ბიჭებისაგან" ხომ მოსვენება არა აქვს სოფელს. გაუკეთებიათ შუა ხვედურეთში ვითომ დუქანი, დაუდგამთ ხრინწიანი არღანი და მთელი დღე და ღამე ყურთა სმენა აღარ არის. ყველა ყვირის, ყველა ტორტმანობს, ყველა „ყარაჩოღობს", დიდი და პატარა. უქმე დღეს კიდევ ჯანი გავარდეს, როგორც იქნება აიტანს კაცი ამ ღრიანცელს და ვაიუშველებელს, მაგრამ ზოგიერთ ვაჟბატონებისთვის სულ უქმეა და იმას არა ფიქრობენ, რომ დაღალულ-დაქანცულ მუშას მოსვენება უნდა და შუაღამისას არღნის ჭყვიტინი და „ე—ე—ი."-ს ძახილი ძილს უფრთხობს მაშვრალს. ურიგო არ იქნება, რომ ვინმე ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს.

ნიავი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი

ხერსონი. შორეულ-აღმოსავლეთში წავიდა ხერსონის საზოგადოების მიერ დაარსებული სასანიტარო რაზმი მოძრავ საავადმყოფოთი.

ნანსი. საგენერალო საბჭომ ერთხმად უსურვა გამარჯვება მონარხსა და რუსეთის მამაც ჯარს.

მოსკოვი. მოიყვანეს პორტ-არტურში დაჭრილი პოლკოვნიკი ზოიონჩკოვსკი და დროებით მოათავსეს ივერიის ძმობაში; შემდეგ პოლკოვნიკი საღამოს წავა.

სტამბოლი. („კორესპ. ბიურ."). საფრანგეთის გემი „კრიმ"-ი რომელზედაც „ვარიაგ"-ის უფროსი რუდნევია სამის აფიცრითა და 483 მეზღვაურით, გავიდა კანეიდან და 5 აპრილს მივა ადესას.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

1 აპრილი

ლონდონი. „სტანდარდ"-ს ტოკიოდან ატყობინებენ: ის ცნობა, ვითომ მოსალოდნელი იყოს ჩინეთში ევროპიელთა წინააღმდეგ არეულობანი, იაპონიას შეუძლებლად მიაჩნია. არეულობა იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი მხოლოდ, თუ რომელიმე ევროპიულმა სახელმწიფომ გაალვიძა და ააფრთოვანა ჩინელთა ეროვნული გრძნობა. იაპონელები დიდის ინტერესით ადევნებენ თვალ-ყურს გერმანელთა პოლიტიკას შანტუნში. ამასთან იმედს აცხადებენ, რომ გერმანია არ ეცდება ამა თუ იმ საწინააღმდეგო მოქმედებას".

კორეის იმპერატორის საგანგებო დესპანი ინჩიონი, რომელიც იაპონიაში იყო გაგზავნილი იტოს მგზავრობის საპასუხოდ, 1 აპრილს ტოკიოდან წამოვიდა.

პეტერბურგი. კონტრ-ადმირალის თავად უხტომსკის დეპეშა, გამოგზავნილი პირველ აპრილს ხელმწიფე იმპერატორის სახელზე: „31 მარტს 10 საათზე მტრის ფლოტის ახლო ყოფნის დროს, როცა პორტ-არტურის რეიდზე ესკადრა მანევრებს აკეთებდა, გემი „პეტროპავლოვსკ"-ი აფეთქების შემდეგ გადაბრუნდა. დაიღუპნენ: ფლოტის უფროსი ადმირალი მაკაროვი და შტაბის უფროსი. გადარჩნენ: დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე და გემის უფროსი იაკოვლევი, ლეიტენანტები: უნკოვსკი, იენიში და დუკელსკი, მიჩმანები: ვლადიმირ შმიდტი, შლიპპე და 52 მეზღვაური. თან წამოვიღეთ გვამები: კაპიტან ვასილიევისა და მიჩმანების—აკომოვისა, ბურაჩკასი, ექიმის ვოლკოვიჩისა და რამდენისამე მეზღვაურისა. გუშინ ღამე ექსპედიციაში გაგზავნილ ნაღმიან გემებს ცუდი ამინდისა გამო მოსცილდა ნაღმიანი გემი „ბეზსტრაშნი", რომელსაც გარს შემოერტყნენ მტრის ნაღმიანი გემები და ბრძოლაში დაღუპეს. გადაარჩინეს ხუთი კაცი. „პეტროპავლოვსკი"-ს დაღუპვის შემდეგ ფლოტის უფროსის თანამდებობის ასრულება დროებით მე ჩავიბარე. გემების გადაყვან-გადმოყვანის დროს ჯავშნიან გემს „პობედა"-ს მარჯვენა ბორტის შუაგულში ნაღმი მოჰხვდა. გემი სხვის დაუხმარებლად შევიდა ნავთ-სადგურში. გემზე მოკლული და დაჭრილი არავინ არის.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი.

ბარცელონა. 31 მარტი. დაჭრილი მინისტრ-პრეზიდენტი მაურა უკეთ არის. მოკვლა ერთის კვირიდან ყოფილა განზრახული. არტალე რამდენსამე დღის განმავლობაში ადევნებდა თვალყურს მაურას. ჰყოლია თანამოზიარეც, რომელიც გუშინ ღამე დაატუსაღეს კიდეც. ორივე რევოლიუციონერთა კავშირს ეკუთვნოდნენ.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.") სპარსეთის აქაური მისსია გადაჭრით უარ-ჰყოფს იმ ცნობას, ვითომ ფარსისტანის გენერალ-გუბერნატორი ალაი-დოულე თანამდებობიდან დაეთხოვოთ. მისსია ცხადებს, ალაი-დოულე თეირანს გაიწვიეს მონაწილეობის მისაღებად იმ თათბირზე, რომელზედაც პროვინციის მოხელეებმა უნდა განიხილონ შინაური ეკონომიური საკითხნი.

სტამბოლი („კორესპ. ბიურ."). ოსმალები სიტყვით უკვე შეჰპირდნენ რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს, რომ ჟანდარმერიის შესახებ საფინანსო და დანარჩენ მოთხოვნილებათ ავასრულებთო. გენერალი ჯიორჯი პირველ აპრილს წავა.

სტამბოლი („კორესპ. ბიურ."). დაინიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ოსმალეთ-ბოლგარის შეთანხმების დადგენილებათა სისრულეში მოყვანა.

ლონდონი. („რეიტ. სააგ."). ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა დეპუტატთ პალატაში წაიკითხა დეპეშა შესახებ იმისა, რომ გენერალი მაკდონალდი 29 მარტს გიანცეში მივიდა და ზარალიც არ მოსვლიათ.

ბერლინი. გუბერნატორი ლეიტვეინი იუწყება, ოკაგანდთან იპოვეს მტრის 80 გვამი და ახალი საფლავები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

სასტუმრო იალტა ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჰი-არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი სამი თავით, ჰიქა არაყით, 1/2-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილია 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—15)

№ 4711
ო-დე-ლი
EAU DE LYS
თეთრი, ვარდისფერი და ყვითელი;

ყველასაგან აღიარებულია საუკეთესო საპირფარეშო საშუალებად პირის დასაბანად, პირის კანის გასაახალგაზდებლად, ჭორფლისა და მუწუკების მოსაშორებლად.

ფირმ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა.

საქონლის დამმზადებელი მის იმპერატორებით უდიდებულესობის სასახლისათვის, (მც. 10—6)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

[illegible] Тифлисъ 1 Апрѣля 1904 г. ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.).